ამასთან „რეზონანსი“ მძიმე და უმსგავს ფაქტსაც აქვეყნებს, 2018 წლის 2 მარტს, საღამოს საათებში, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედებისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა ა. ე.-მ 9 წლის გოგონა ძალის გამოყენებით ქ. თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში განთავსებულ ავტოფარეხებთან მიიყვანა და გააუპატიურა.

სამართალდამცველებმა ა. ე. იმავე დღეს დააკავეს, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ სცნო და 16 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა („რეზონანსი“, 2018 წ. 3 დეკემბერი).

„ქალი, რომელსაც 5 დღე ეძებდნენ, სარდაფში დამარხული იპოვეს“ - ამ მასალაში საუბარია მარნეულში 60 წლის ქალის მკვლელობის შესახებ. ბასტი მამედოვას 5 დღის განმავლობაში ეძებდნენ, ბოლოს მეზობლებმა ქალი საკუთარი სახლის სარდაფში დამარხული იპოვეს.

ქალს ოჯახი არ ჰყავდა და მასთან ერთად მხოლოდ მისი ძმიშვილი ცხოვრობდა, რომელიც ამ ამბის შემდეგ თავადაც დაიკარგა („რეზონანსი“, 2018 წ. 17 დეკემბერი).

„ბევრი ქალი პოლიციელი მუშაობს კახეთში“ - ამ მასალაში შს-ს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილი გურჯაანის სასამართლოსთან პოლიციელი ქალების კორდონის შესახებ საუბრისას აცხადებს, რომ ოპოზიციის წევრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, პოლიციის სისტემაში ქალის როლის დაკნინებას აქვს ადგილი („საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 21 დეკემბერი).

გაზეთი „რეზონანსი“ მკითხველს აცნობს, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად „ქალებს გენდერული თანასწორობის მისაღებად 108 წელი დასჭირდებათ, ხოლო 200 წელი, რათა მათი ეკონომიკური შესაძლებლობები მამაკაცებისას გაუტოლდეს („რეზონანსი“, 2018 წ. 24 დეკემბერი).

„რეზონანსი“ გასაოცარ ინფორმაციასაც აქვეყნებს, რომ **„მუხიანში მამაკაცმა ახალგაზრდა ქალი ელექტროშოკით გათიშა და მასზე იძალადა“**. ბრალდებული მიიმალა, თუმცა პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებით დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს („რეზონანსი“, 2019 წ. 11 იანვარი).

„იტალიის საავადმყოფოში უპატრონოდ მიტოვებული ქართველი ქალი წევს - <<მასზე ოჯახმა უარი თქვა>>“ - ამ მასალაში საუბარია სოციალური ქსელით გავრცელებულ ფოტოზე, რომელშიც იტალიის საავადმყოფოფი უპატრონოდ მიტოვებული ქართველი ქალია აღბეჭდილი („რეზონანსი“, 2019 წ. 14 იანვარი).

„მარნეულში დედის მიერ შვილის დაჭრის ახალი დეტალები ხდება ცნობილი“ - გაზეთი „რეზონანსი“ წერს მარნეულში მომხდარი ძალადობის შესახებ, სადაც დედამ შვილს ცივი იარაღით ორი ჭრილობა მიაყენა ყელისა და გულ-მკერდის არეში.

სოფელ ყიზილაჯლოში ვერ ასახელებენ მიზეზს, თუ რატომ ჩაიდინა დედამ ეს დანაშაული, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით ახალგაზრდა ქალს მამაკაცი ემუქრებოდა პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროებით, რაც გახდა დედასა და შვილს შორის დაპირისპირების მიზეზი („რეზონანსი“, 2019 წ. 14 იანვარი).

„რეზონანსი“ იმასაც აუწყებს მკითხველს, რომ ნეაპოლში 3-დღიანი ძებნის შემეგ ქართველ ქალს მეგობრის სახლში მოკლულს მიაკვლიეს. ქალის მკვლელობაში ბრალდებულია ასევე ქართველი ქალი, რომელიც მოკლულის მეგობარი იყო („რეზონანსი“, 2019 წ. 24 იანვარი). ამავე ფაქტს ასაჯაროებს „საქართველოს რესპუბლიკა“,

ინფორმაციის სათაურია **„ქართველი ქალი საქართველოს მოქალაქემ მოკლა?“** („საქართველოს რესპუბლიკა“, 2019 წ. 24 იანვარი).

„ბრიტანეთში მკვლელობისთვის ძებნილი თბილისში პოლიციას ჩაბარდა“ - ბრიტანეთში 2018 წლის ივლისში 24 წლის შარლოტა ბრაუნის მკვლელობისთვის ძებნილი 31 წლის ჯეკ შეპარდი თბილისში პოლიციას ჩაბარდა.

ჯეკ შეპარდს ბრიტანეში სასამართლომ დაუსწრებლად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა („რეზონანსი“, 2019 წ. 24 იანვარი).

„კანადაში ქართველი ქალი თანამშრომელმა მოწამლა“ - გაზეთი „რეზონანსი“ წერს, რომ ტორონტოში ერთ-ერთი კომპანიის ქართველ თანამშრომელს მაცა ბელიშვილს თავისი თანამშრომელი რამდენიმე თვის განმავლობაში მიზანმიმართულად წამლავდა საყოფაცხოვრებო ქიმიის მეშვეობით.

ბრალდებული დაკავებულია, ხოლო დანაშაულის ჩადენის მოტივი უცნობია („რეზონანსი“, 2019 წ. 28 იანვარი).

„მამაკაცი, ვინც საკუთარი მამიდაშვილი მოიტაცა, დაკავებულია“ - ამ მასალაში საუბარია მე-12 კლასის მოსწავლე ემილია განბაროვაზე, რომელიც მამიდაშვილმა საკუთარი სახლიდან მოიტაცა, ხოლო ოჯახს უმალავდა. პოლიციამ ბრალდებული დააკავა იორნმუღალოს მიმდებარე ერთ-ერთ სოფელში („რეზონანსი“, 2019 წ. 31 იანვარი).

გაზეთი „რეზონანსი“ აუწყებს მკითხველს ახალი რეგულაციის შესახებ, რომლის თანახმადაც სექსუალური შევიწროებისთვის - 300 ლარიანი ჯარიმა წესდება, ხოლო სექსუალური შევიწროება ჩადენილიწინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიმართ ან არასრულწლოვნის თანდასწრებით გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე („რეზონანსი“, 2019 წ. 5 თებერვალი).

ამასთან გაზეთი საზარელ ფაქტსაც აქვეყნებს, გორში 14 წლის გოგონა საკუთარმა 39 წლის მამამ გააუპატიურა („რეზონანსი“, 2019 წ. 6 თებერვალი).

თბილისში, დიდუბის რაიონში, ხოშარაულის ქუჩაზე 43 წლის ქალს ყოფილმა მეუღლემ ცივი იარაღით ზურგის არეში მიაყენა ჭრილობა.

თვითმხილველთა ინფორმაციით, მათ უშუალოდ დაჭრის ფაქტი არ დაუნახავთ, თუმცა ქალის ხმა გაიგონეს, რომელიც ყვიროდა, რომ დაჭრილი იყო და დახმარება სჭირდებოდა. ქალი გადაყვანილ იქნა ღუდუშაურის კლინიკაში, სადაც ჩაუტარდა ოპერაცია („რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი“, 2019 წ. 12 თებერვალი).

„რეზონანსი“ ბეჭდავს ინფორმაციას, რომელიც მკითხველს აუწყებს, რომ პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ფორმად ჩაითვლება („რეზონანსი“, 2019 წ. 21 თებერვალი).

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იტალიურ მედიაზე დაყრდნობით მკითხველს აწვდის ინფორმაციას, რომ იტალიის ერთ-ერთ ქალაქში დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც გაუპატიურებაში, ოჯახურ ძალადობასა და ძარცვაში ედება ბრალი („საქართველოს რესპუბლიკა“, 2019 წ. 22 თებერვალი). ამავე ინფორმაციას ასაჯაროებს „რეზონანსი“, ინფორმაციის სათაურია **„გაუპატიურება, ოჯახში ძალადობა და ძარცვა - იტალიაში საქართველოს მოქალაქე დააკავეს“** („რეზონანსი“, 2019 წ. 22 თებერვალი).

„სარდაფში ჩაიყვანა, ხის ჯოხი თავისა და სახის არეში რამდენჯერმე ჩაარტყა - რატომ მოკლა ახალგაზრდამ მამიდა“ - ამ მასალაში პროკურატურა ავრცელებს ინფომაციას, რომ ნ. მ.-მ ურთიერთშელაპარაკებისას ხელი ჰკრა მის მამიდას, რომელიც წაიქცა, თავი მიარტყა ტახტს და გონება დაკარგა. კვალის დაფარვის მიზნით ახალგაზრდამ მამიდა ბ. მ. სარდაფში ჩაიყვანა, რა დროსაც ქალი გონს მოვიდა, ნ. მ.-მ კი განზრახ მკვლელობის მიზნით ხის ჯოხი თავისა და სახის არეში ჩაარტყა, რის შედეგადაც ბ. მ. ადგილზე გარდაიცვალა („რეზონანსი“, 2019 წ. 26 თებერვალი).

რუსთავის საქალაქო სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ნ. მ. დამნაშავედ სცნო და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა („საქართველოს რესპუბლიკა“, 2019 წ. 26 თებერვალი).

„15 წლის ობოლი გოგონა დეიდას უჩივის, საქმეში პოლიცია ჩაერთო“ - ამ მასალაში საუბარია 15 წლის გოგონაზე, რომელიც დეიდას ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში ადანაშაულებს. გოგონას მშობლები არ ჰყავს, ამიტომ მისი მეურვე მხოლოდ დეიდა იყო.

შსს-ში ფაქტზე გამოძიება დაიწყო 126-ე პრიმა მუხლით, რაც ოჯახურ ზალადობას გულისხმობს („რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2019 წ. 27 თებერვალი).

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ბეჭდავს ინფორმაციას, რომ სრულყოფილ გენდერულ თანასწორობას მხოლოდ მსოფლიოს ექვსმა ქვეყანამ მიაღწია. საქართველოს 100 ქულიდან 79,38 ქულა აქვს. იგივე ქულა აქვს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ბელიზი, იაპონია, პანამა და თურქეთი („საქართველოს რესპუბლიკა“, 2019 წ. 2 მარტი).

„რეზონანსი“ წერს, რომ **„გორელმა გოგომ მამას პოლიციაში ცემის გამო უჩივლა და 47 წლის კაცი დაიჭირეს“** („რეზონანსი“, 2019 წ. 27 მარტი). ამასთან გაზეთიშემზარავ ფაქტსაც აქვეყნებს, ხაშურში ქმარმა ცოლს სილამაზის სალონში ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში შვიდჯერ მიაყენა ჭრილობა („რეზონანსი“, 2019 წ. 29 მარტი).

ქალთა მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ძალზედ გახშირდა, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით, რასაც ადასტურებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები.

„უახლესიკვლევებიადასტურებს,რომმსოფლიომასშტაბით, 15 წლისასაკისდაუფროსიქალების 30 %-სსიცოცხლისმანძილზეპარტნიორის/მეუღლისმხრიდანფიზიკურიან/დასექსუალურიძალადობაგამოუცდია, ხოლო35% ასეთივეძალადობისმსხვერპლიგამხდარაარაპარტნიორისგან, შემთხვევითიურთიერთობისას.ქალთამიმართძალადობაქალთამკვლელობებისერთ-ერთიყველაზეგავრცელებულიმიზეზიადაუმძიმესგავლენასქალთაჯანმრთელობისსხვამნიშვნელოვანასპექტებზეცახდენს.

ქალთამიმართოჯახშიძალადობაისევე, როგორცადრეულიდაიძულებითიქორწინება, ქალთამიმართძალადობისყველაზეგავრცელებულფორმადრჩებასაქართველოში.

გაეროსმოსახლეობისფონდისმხარდაჭერით, 2009 წელსჩატარებულიქალთამიმართოჯახშიძალადობისეროვნულიკვლევისთანახმად, ქალების 6.9%-სპარტნიორის/მეუღლისმხრიდანგამოცდილიაქვსფიზიკურიძალადობა, ხოლო3.9% სექსუალურიძალადობისმსხვერპლიგამხდარა.ოჯახშიძალადობისადმიდამოკიდებულების ადააღქმისშესახებგაეროსქალთაორგანიზაციის 2014წლისკვლევამგამოავლინა, რომგამოკითხულთა77.8%-ისაზრით, ოჯახშიძალადობაძალიანხშირადანსაკმაოდხშირადხდება. რესპონდენტთა 66.8%-მააღიარა, რომიცნობსოჯახშიძალადობისმსხვერპლს/ძალადობაგადატანილს, ხოლო 56.3% პირადადიცნობსმოძალადეებს.“ (ქალთამიმართ ძალადობისეროვნული კვლევასაქართველოში 2017, გამომცემლობა გაეროს ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერებისთვის (UN Women)2018 წ. გვ. 12-13)

ჩვენი მიზანი იყო, რომ გამოგვეკვლია ამ რეალურ ფაქტებზე რამდენად გაამახვილეს ყურადღება გაზეთებმა „საქართველოს რესპუბლიკა“ და „რეზონანსი“. დავადგინეთ, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ გაზეთებში ქვეყნდებოდა სხვადასხვა სახის ინფორმაციები ქალთა უფლებების დარღვევების შესახებ, როგორიცაა: ქალთა ჩაგვრა და დისკრიმინაცია, მუქარა, წამება, თვითმკვლელობამდე მიყვანა, დანით მოკვლა, სექსუალური შევიწროება და გაუპატიურება.

გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“ და „რეზონანსი“ უფრო მეტად ისეთი ფაქტები შუქდებოდა ქალებზე, როგორიც არის ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა და გაუპატიურება, სადაც ქალები მსხვერპლად გვევლინებოდნენ, რაც ამყარებდა სტერეოტიპს ქალების, როგორც უსუსური არსებების შესახებ.

„გაერთიანებულ სამეფოში Leveson Inquiry-ის ფარგლებში გამოცემულ ანგარიშში „მხოლოდ ქალები“ (ივსი და სხვ.(2012)) გაანალიზებულია ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულების გაშუქება ბრიტანეთის 11 ეროვნულ გაზეთში 2012წელს ორი კვირის პერიოდის მანძილზე. ამ ანგარიშის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების გზები იწვევს მითებისა და სტერეოტიპების გამყარებას. რეპორტაჟებიხშირად უზუსტოა და

დანაშაულის ჩამდენის ქმედებების სიმძიმე შერბილებულია, ხოლო ბრალი კი გადატანილია დაზარალებულსა და სხვა პირებზე“ (ქალთამიმართძალადობისადაოჯახში ძალადობისპრევენციისპროცესშიკერძო სექტორისადამედიისმონაწილეობის წახალისება: სტამბულისკონვენციისმე-17 მუხლი, ევროპისსაბჭო, 2016 წლისიანვარი,დაბეჭდილიაევროპისსაბჭოში გვ. 45)

ქართული მედია თითქმოს ქალებს ყურადღებას არ უთმობს, არ ამჟღავნებს მათ პირობნებას, თუ ეს ქალი ტიტულოვანი და ცნობილი პირი არაარის. ერთ-ერთმა კვლევამ დაადგინა, რომ „ქართული მედია არათუ ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების დანგრევას, არამედ, პირიქით, უფრო ამყარებს და ნერგავს ახალ-ახალ სტერეოტიპებს ქალთან მიმართებით“ (ი. ალიაშვილი, “ ქართულიმედიაახალიამბებისგაშუქებისასქალთაუფლებებსლახავს-მონიტორინგისშედეგები’’).

სატელევიზიო მედიისაგან განსხვავებით, ბეჭდურ მედიაში არ არსებობს კანონი ან ეთიკის კოდექსი, რაც გააკონრტოლებს, თუ როგორ და რა სახით უნდა იბეჭდებოდეს ქალთა უფლებების შესახებ პრესაში. ამის კონტროლი დამოკიდებულია მხოლოდ რედაქციაზე. ამიტომაც ქალებთან დაკავშირებული თემების გაშუქების მანერისას არასრული ინფორმაციაც მიეწოდება მკითხველს.

თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შესწავლილ გაზეთებში ამგვარი მძიმე და უპასუხისმგებლოინფორმაციები არ იბეჭდებოდა.

II თავი. ქალთა საკითხების ასახვა გაზეთ „კვირის პალიტრა“-ში

გენდერულ თანასწორობაზე დღეს აქტუალურად მსჯელობენ ქართულ სივრცეში, თუმცა ვაწყდებით უხეშ დარღვევებსაც, რადგან მოსახლეობას ჰგონია, რომგენდერული თანასწორობა მამაკაცს სახლის საქმეებს ავალებს, ხოლო ქალებს ათავისუფლებს მათგან. ამის გამო საზოგადოებაში ნეგატიური დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი.

„ტერმინი „ქალთა უფლებები“ დაკავშირებულია ყველა ასაკის ქალთა და გოგონათა უფლებებთან და თავისუფლებებთან. ქალის უფლებების ცალკე გამოყოფა ნაკარნახევი იყო ქალისადმი ისტორიულად ჩამოყალიბებული სტერეოტიპული დამოკიდებულებით, გენდერული ასიმეტრიის, გენდერული უთანასწორობის დაძლევის სურვილით. ქალთა უფლებები ითვალისწინებს ქალის რეპროდუქციულ, პოლიტიკურ-ეკონიმიკუ-სოციალური გადაწყვეტილებების მიმღებ სტრუქტურებში მონაწილეობის, განათლების, დასაქმების, სუფთა გარემოს, სამშვიდობო პროცესში ჩართვის უფლებას“ (https://ka.wikipedia.org/wiki/ქალთა_უფლებები).

მსოფლიოში ქალთა უფლებების დაცვასა და მათ ემანსიპაციაზე ზრუნვა მრავალი ათწლეულების წინ დაიწყო, თუმცა საქართველოში ამ თემაზე აქტუალური მსჯელობა XIX საუკუნეში, ჩვენი პროგრესულად მოაზროვნე წინაპრების მეშვეობით - სერგეი მესხის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის აქტიური ნააზრევით დაიწყო, რომ არაფერი ვთქვათ „ვეფხვისტყაოსანსა“ და თამარ მეფის ფაქტორზე, ვინც საქართველოს სათავეში იდგა, განაგებდა ქვეყანას და მეფე-ხელმწიფის მოვალეობით ემსახურებოდა ქართველ ხალხს.

მე-19 საუკუნეში ქართველმა საზოგადო მოღვაწემ სერგეი მესხმა გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა სტატია „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი“, რომელიც ქართველ ქალებს მიუძღვნა.

ამ სტატიაში წერდა, რომ ქართველი ქალების უმეტესობას ტრადიციული ცუდი ფიქრები აწუხებთ, ისინი მიჩვეულები არიან კეცებისადმი დამორჩილებას, არ გააჩნიათ საკუთარი ინიციატივა, საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის სურვილი, განათლების მიღებით, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რომ ქალიც კაცია და კაცივით აზროვნება შეუძლია და არა

მონობაში ჭაპანის წყვეტა და მხოლოდ შვილოსნობა, ან კაცის გვერდის დამშვენება-გალამაზება.

„ყველასათვის, ვისაც კი გონება მამა-პაპური აზრებითა და ცრუმორწმუნეობით არა აქვს დახშული, ცხადათ დამტკიცებულია, რომ ქალი კაცის თანასწორათ არის გაჩენილი, რომ იმის დამონავება, სხვა-და-სხვა უფლებების წართმევა, სიკეთის მაგივრად ვნებს კაცობრიობას და აფუჭებს იმის ბუნებას და ხასიათს.....დამტკიცებულია, რომ ქალი მარტო შვილოსნობისათვის, ტკბილი გრძნობებისათვის და ქვეყნიერების დასამშვენებლათ არ არის გაჩენილი; დამტკიცებულია ათასი მაგალითებით, რომ ქალის ტვინსა და ხშირათ ხელსაც ისეთნაირათ შეუძლია კაცობრიობის სასიკეთო მოქმედება და მუშაობა, როგორც კაცებისას. ერთი სიტყვით, დამტკიცებულია, რომ ცხოვრებაში ქალს თითქმის ყველა იმ მოვალეობის და საქმის ასრულება შეუძლია, რასაც ამჟამათ მხოლოთ კაცები ასრულებენ.“ (ს. მესხი, „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი“, ქართული პუბლიცისტიკა-ქრესტომათიაXIX საუკუნე, თსუ გამომცემლობა, 2007 წ. გვ.)

ამასთან ქალთა უფლებების დაცვას, მათ მოვალეობებს და განათლების საკითხებს ილია ჭავჭავაძე საგანდებოდ გამოეხმაურა 1888 წელს დაწერილ სტატიაში - „დედათა ემანსიპაციის შესახებ“. ამ სტატიაში ილია წერს, რომ „ბევრ კაცს, თუ ქალს ჰგონია დღესაც, რომ აქ მარტო იმაზეა ლაპარაკი, ვითომ ამ ემანსიპაციის საქმეში სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ქალთა თუ დედათა მხოლოდ უფლება-მოვალეობა მიენიჭოთ და იმას კი აღარავინ ჰფიქრობს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა უფლება კაცთა ურთიერთობაში, რომელსაც არ მოსდევს მოვალეობაც“ (ჭავჭავაძე, 1988, გვ.58). ილია ჭავჭავაძე ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მე-19 საუკუნეში მხოლოდ კაცს ჰქონდა ისეთი უფლებები, რომელიც ქალსაც აუცილებლად უნდა ჰქონოდა, მაგრამ იმასაც ამბობდა, რომ მამაკაცს ისეთი მძიმე ტვირთის ზიდვა უწევდა, რომელსაც ქალი ვერ შეძლებდა.

უპირველეს ყოვლისა, ილიას,საჭიროდ მიაჩნდა თვით ქალთა მასებიდაინტერესებულიყვნენ თავიანთივე გათავისუფლების საქმით. ის „უკბილო საყვედურად“ და „უქმ ჩივილად“მიიჩნევდა ქალების მამაკაცებზე წუწუნს - „აი თქვე გულქვა კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთ“ (ი. ჭავჭავაძე, 1928, გვ. 278) და

მთავარ პირობად ქალთა განთავისუფლებისთვის თვით ქალების ინიციატივა და აქტიურობა მიაჩნდა. ეს ინიციატივა და თვითმოქმედება ქალებს უნდა დაეწყოთ სწავლა-განათლებით, ვინაიდან ამის გარეშე, ილიას აზრით, სულ უქმია ლაპარაკი მათ მამაკაცებთანგათანასწორებაზე. ამ გზით მათ შეუძლიათ მოიპოვონ თავისუფლება, ადამიანური უფლება და ღირსება. ამიტომ იყო, ილია ჭავჭავაძე „ქართველი ქალის წერილს“, რომელიც 1889 წლის 4 მარტის „ივერიაში“ დაიბეჭდა სათაურით: „საზოგადოების საყურადღებოდ“დიდი სიხარულით შეეგება, სადაც ,,ქართველი ქალი“ მოუწოდებდა ქალებს თვითონ თავიანთ თავზე აეღოთ ქალთა სასწავლებლის გახსნა და ქალთა განათლების განსაზოგადოება, რადგან მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ თავი დაეღწიათქართველ ქალებსიმ თითქოს „უწმინდესი და უსამღვთოესი დანიშნულებიდან“ როგორიცაა მხოლოდ დედობა, ცოლობა, დობა. ყოველივე ამას ილია მიაჩნევდა ქალის საპატიო მოვალეობად, მაგრამ მისი დანიშნულების მხოლოდ ამით ამოწურვა - დიდ რეგრესულ, უსამართლო და რეაქციულ საქმედ ესახებოდა. სწავლა-განათლების გზით ქალს შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ისიც სრულუფლებიანი ადამიანია და შეუძლია მამაკაცის მსგავსად, შეასრულოს ყოველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფუნქცია.თან იყოს საუკეთესო დედა, ცოლი და და. ამის დასამტკიცებლად ილია ქალთა ემანსიპაციის მოწინააღმდეგე გ. თუმანოვთან კამათის დროს მიმართავს კარლ მარქსს: „როგორიც დედაკაცია, ისეთი ოჯახიცაა, როგორიც ოჯახია, ისეთი სახელმწიფოცაა“ (ი. ჭავჭავაძე, 1928, გვ. 278)

სხვა არაფერი, რომ არ ვთქვათ, ჯერ კიდევ XII საუკუნის საქართველოში ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე შოთა რუსთაველმა იმსჯელა თავის გენიალურ „ვეფხვისტყაოსანში“, სადაც ქალი გამოაცხადა მეფის მემკვიდრედ და აიყვანა ტახტზე. ამასთან XII საუკუნის ევროპაში, როცა სახელმწიფოები ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, საქართველოში ქალი-მეფე მართავდა ქვეყანას, რომელიც „ოქროს ხანად“ არის წოდებული.

საქართველოში დღეს ქალთა ორგანიზაციები ცდილობენ, საზოგადოების ყურადღება მიიპყრონ ქალთა ძალადობის საკითხის შესახებ სხვადასხვა კვლევების გასაჯაროებით.

კვლევების თანახმად საქართველოში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოჯახში ძალადობას.

ჩვენი მიზანია, გამოვიკვლიოთ ამ საკითხებზე რამდენად ამახვილებს ყურადღებას გაზეთი „კვირის პალიტრა“ და როგორი სახით ხდება მისი გამოქვეყნება.

ქვემოთ შევეხებით ამ გაზეთში გამოქვეყნებულიმასალების ანალიზს:

„მისმა სიტყვებმა გონება დამიბნელა, ჯერ ქვა, მერე რამდენჯერმე და ჩავარტყი“ – ამ მასალაში საუბარია ლადო გრიგალაშვილის მიერ ანა ნაცვლიშვილის მოკვლის დეტალებზე, რომლის თანახმადაც გრიგალაშვილმა გოგონა ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა. ჯერ ქვა ჩაარტყა, ხოლო წაქცევის შემდეგ დანა რამდენჯერმე ჩაარტყა („კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 2018 წ. 26 თებერვალი).

გაზეთი „კვირის პალიტრა“ მკითხველს აწვდის ინფორმაციას, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სააგენტოს“ აღმასრულებები დირექტორი და ცნობილი სამოქალაქო აქტივისტი ზვიად დევდარიანი დადანაშაულებულია სექსუალურ შევიწროებაში („კვირის პალიტრა“, 2018 წ. 19-25 მარტი).

გაზეთი საზარელ ფაქტს აქვეყნებს, რომ 2018 წლის 13 აპრილს თბილისის ცენტრში შემზარავი მკვლელობა მოხდა, სადაც 25 წლის ქალს, ორი მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით მამინაცვალმა ყელი გამოჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ბრალდებული სამართალდამცველებმა სოფელ თელეთში დააკავეს („კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 2018 წ. 16-22 აპრილი).

„დაუჯერებელია, ამდენი დაზიანებით ადამიანი გადარჩეს“ - ამ მასალაში საუბარია ბათუმში მომხდარი უმძიმესი ფაქტის შესახებ, სადაც ხოფას ბაზრობიდან დაბრუნებულ იზოლდა აბაშიძეს ლიფტში ახალგაზრდა მამაკაცმა დანით 62 ჭრილობა მიაყენა.

გაზეთ „კვირის პალიტრა“-სთან საუბარში, ბათუმის კარდიოქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - მახირ ბალაქიშიევი ამბობს, რომ გასაკვირია ამდენი დაზიანებების

მიუხედავად ქალი რომ გადარჩა („კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 2018 წ. 18-24 ივნისი).

„ჩემი დანაშაული ის არის, რომ ცოცხალი ვარ“ - გაზეთი ბეჭდავს ახალგორში სამოქალაქო აქტივისტ თამარ მეარაყიშვილთან ინტერვიუს, რომელიც თითქმის ერთი წელია ტყვეობაშია, მას ე. წ. სამხრეთ ოსეთიდან გასვლის უფლება ეკრძალება.

თამარ მეარაყიშვილის თქმით, ის ისჯება იმის გამო, რომ მუდმივად წერს და საუბრობს რაიონში არსებული მძიმე ვითარების შესახებ. მის წინააღმდეგ საქმე სამი მუხლით არის „შეთითხნილი“ (ე. წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის უკანონოდ მიღება, საქართველოს მოქალაქეობის პარალელურად; ყალბი დოკუმენტების დამზადება და პარტია „ერთიანი ოსეთის“ მიმართ ცილიწამება). თუ ბრალი დაუმტკიცდა ცხინვალის ციხეში ერთწლიანი პატიმრობა ემუქრება („კვირის პალიტრა“, ლალი პაპასკირი, 2018 წ. 9-15 ივლისი).

გაზეთი „კვირის პალიტრა“ ფრიად სამწუხარო ამბავსაც აქვეყნებს, რომ გურიაში, სოფელ ნატანებში 17 წლის ნ. ბ.-მ შანტაჟის გამო თავი საკუთარი სახლის ეზოში ჩამოიხრჩო.

შსს-ს განცხადებით მომხდარ თვითმკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით დააკავეს 1996 წელს დაბადებული მ. თ.. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელმაც გარდაცვლილი ნ. ბ. სოციალური ქსელით - „ფეისბუქის“ მეშვეობით გაიცნო და მიმოწერა ჰქონდა დაემუქრა, თუ ინტიმური ხასიათის ფოტოსურათებს დავიდეოკადრებს არ გაუგზავნიდა, მათი მიმოწერა გოგონას მშობლების ხელში აღმოჩნდებოდა. გოგონა იზულებული გახდა დასთანხმებოდა, თუმცა მ. თ. ამის მიუხედავად, მაინც აგრძელებდა შანტაჟს, რაც გახდა მიზეზი გოგონას თვითმკვლელობის.

დაკავებულმა დანაშაული აღიარა („კვირის პალიტრა“, 2018 წ. 20-26 აგვისტო).

გაზეთი „კვირის პალიტრა“ წერს ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ რცხმელურაში მცხოვრები დევნოზაშვილების ოჯახის შესახებ, სადაც 8 შვილის მამის გადაწყვეტილებით ბავშვები სკოლაში არ დადიან. ამირან დევნოზაშვილის თქმით „არ მინდა გავიდნენ გარეთ,

რადგან დაბოღმილი და გაბოროტებული ხალხი ცხოვრობს, მათგან მხოლოდ ცუდს ისწავლიან.

ამირან დევნოზაშვილის დედა, ისევე როგორც მისი მეუღლე პედაგოგია, რომლებიც ბავშვებს სახლში ასწავლიდნენ წერა-კითხვას და სხვა საგნებშიც ამეცადინებდნენ. 8 წელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რესურსცენტრი, სამართალდამცავები, სკოლის დირექტორი, სოფლის ექიმი და ცაგერ-ლენტეხის ეპარქიის ეპისკოპოსი ამ პრობლების მოგვარებაში იყვნენ ჩართულები და მათ მშობლებს სთხოვდნენ ბავშვები სკოლაში გაეშვათ, თუმცა მათი პოზიცია შეუცვლელი დარჩა.

დევნოზაშვილების ოჯახის 8 შვილი დაზარალებულად არის ცნობილი („კვირის პალიტრა, თეა ხურცია, 2018 წ. 20-26 აგვისტო)

„სოფო გაყინული ეგდო იატაკზე, ჩვილს კი ისე ღრმად ეძინა, საღამომდე ვერ გამოვაფხიზლეთ“ - ამ მასალაში საუბარია საბერძნეთში მოკლული სოფო შანშიაშვილის შესახებ, რომელიც გავრცელებული ინფორმაციით გაგუდვის შედეგად გარდაიცვალა.

სოფოს მეგობრის, ქეთი ძიგუას, თქმით, როდესაც სოფოს მეუღლის მეგობრებმა კარი შეამტვრიეს „სოფო გაყინული ეგდო იატაკზე, ბავშვს კი ისე ღრმად ეძინა, საღამომდე ვერ გამოვაფხიზლეთ“. ქეთის თქმით სოფოს ყელზე ტელეფონის კაბელი ჰქონდა შემოხვეული და წამების კვალი ეტყობოდა („კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 218 წ. 15-21 ოქტომბერი).

ამასთან გაზეთი „კვირის პალიტრა“ გორში მომხდარი შემზარავი ფაქტის შესახებაც წერს, სადაც 9 წლის ნინიკო ბერიაშვილი ოჯახის უშედეგო ძებნის შემდეგ სამართალდამცველებმა მოკლული იპოვეს.

პოლიციამ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა და იაგო ნებიერიძე დააკავა, რომელიც ციხეში უკვე გამოკეტს.

ამ მკვლელობით შეძრწუნებული გორის მოსახლეობა დამნაშავის ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდა.

გოგონას რამდენიმე დაზიანება ეტყობოდა ცხვირზე, თავსა და ყელზე, სხეულზე სისხლჩაქცევები ჰქონდა, ხოლო ფეხებსა და ხელებზე მავთულით შებოჭვის კვალი ეტყობოდა. გოგონას ბაბუის ძმის ხვიჩა ბერიაშვილის თქმით ბავშვი ნაცემიც იყო.

იაგო ნებიერიძე 14 წლის წინ გაუჩინარებული 11 წლის ბიჭის საქმეშიც ფიგურირებს („კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 2018 წ. 29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი).

„მკვლელობა ბათუმში“ – 2018 წლის 24 ნოემბერს სამორინე „პრინცესაში“ 1961 წელს დაბადებულმა თურქეთის მოქალაქემ, სამართალდამცავების თქმით ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა ახალგაზრდა ქალი, ერთი კი დაჭრა. გავრცელებული ინფორმაციით გარდაცვლილს ჭრილობები გულ-მკერდის არეში დანით ჰქონდა მიყენებული.

თვითმხილველთა განცხადებით ქალები უზბეკეთის მოქალაქეები არიან, რომლებსაც მამაკაცი მოულოდნელად დაესხა თავს.

ბრალდებულ 7- დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება („კვირის პალიტრა“, 2018 წ. 26 ნოემბერი - 2 დეკემბერი).

გაზეთი გასაოცარ მასალასაც აქვეყნებს, სადაც 33 წლის მარინა საუბრობს იმის შესახებ, თუ რატომ გამოკეტა საკუტარმა დედამ ფსიქიატრიულში, ამის მიზეზად კი იოგაზე სიარულს ასახელებს.

მარინეს სამი წელია სარჩელი შეტანილი აქვს „ფსიქიკური დახმარების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის წინააღმდეგ, რომელიც სახიფათოა ყველასთვის, რადგან იძლევა იმის საშუალებას, რომ სრულიად ჯანმრთელი ადამიანი მოხვდეს ფსიქიატრიულში („კვირის პალიტრა“, ნანა ფიცხელაური, 2018 წ. 17-23 დეკემბერი).

2018 წლის ბოლო ნომერში გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ დაბეჭდა მასალა სათაურით **„მკვლელობები, რომლებმაც ქვეყანა შეძრა“**, რითას საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა საქართველოში, ადამიანის მიერ ჩადენილი ოთხი ყველაზე სასტიკი და შემზარავი მკვლელობების შესახებ, კერძოთ:

1. 2018 წლის 22 თებერვალს თემქაზე მოკლული ანა ნაცვლიშვილის შესახებ, რომელსაც ქვით ჰქონდა თავი გაჩეჩქვილი და ყელი გამოღადრული, ხოლო სხეულზე 33 ჭრილობა დანით ჰქონდა მიყენებული.

   ანა ნაცვლისვილის მკვლელს ლადო გრიშაშვილს სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

2. 2018 წლის 13 აპრის ბარნოვის ქუჩაზე 25 წლის თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობის შესახებ, რომელსაც მამინაცვალმა ვეფხვია ბაქრაძემ, მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით ყელი გამოღადრა.

   ბრალდებულ ვეფხვია ბაქრაძე სასამართლომ დამნაშავედ სცნო და უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

3. 2018 წლის ივლისში სმიტების ოჯახის ამოხოცვის შესახებ, სადაც მწყემსმა მალხაზ კობაურამ შელაპარაკების ნიადაგზე რაიან სმიტი მოკლა, 4 წლის ბავშვს მიბჯენით ესროლა, ხოლო ლორა სმიტი ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი მდინარეში ჩააგდო.

   მალხაზ კობაურს გორის სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

4. გორში მოკლული 9 წლის ნინიკო ბერიაშვილის შესახებ. რომელიც იაგო ნებიერიძემ მოკლა („კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 2018 წ. 24-30 დეკემბერი).

ამასთან გაზეთი აქვეყნებს სტატისტიკას, რომლითაც საზოგადოებას ატყობინებს, რომ 2017 წელთან შედარებით 2018 წელს დანაშაულის რიცხვმა საქართველოში 60%-ით იმატა, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი - 35%-ია („კვირია პალიტრა, 2018 წ. 24-30 დეკემბერი).

„თელეთში შვილმა დედა დაჭრა“ – 2019 წლის 8 იანვარს 1982 წელს დაბადებულმა მამაკაცმა საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთ შელაპარაკებისას დანით დაჭრა საკუთარი დედა.

ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს („კვირის პალიტრა“, 2019 წ. 14-20 იანვარი).

„ბოლოდროსქალთატრადიციულიროლისმნიშვნელოვანიცვლილებისმიუხედავად, ქალებისადმისტერეოტიპულდამოკიდებულებასძალიანხშირადვაწყდებითდასაქართველო მაინცპატრიარქალურსაზოგადოებადრჩება.

ესრეალობაქართულიმედიაშიცაისახება".(გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში, 2012 წ. გვ.1 http://mdfgeorgia.ge/uploads//Gender_report_II.pdf)

ჩვენი მიზანიიყო გაგვეანალიზებინა როგორი სიხშირით და რა სახით ასახვდა გაზეთი „კვირის პალიტრა" ქალთა საკითხებს. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სხვა საკვლევი გაზეთებისაგან („საქართველოს რესპუბლიკა" და „რეზონანსი") განსხვავებით „კვირის პალიტრა" ძალზედ მცირე სიხშირით აქვეყნებდა ქალთა საკითხებს.

2011 წელს MDF-მა ჩაატარა კველევა „გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში", სადაც ერთ-ერთი საკვლევი ობიექტი გაზეთი „კვირის პალიტრა" იყო. ის შენიშვნები,რაც ამ კვლევის დროს გამოიკვეთა, გაზეთის რედაქციას არ გამოუსწორებია და ისევ იმ სახით გრძელდება მუშაობა.

„ „კვირის პალიტრის" ამ მუდმივ რუბრიკას „თქვენთვის ქალბატონებო" ჰქვია.„ქრონიკისგან" განსხვავებით, აქ თემატიკა უფრო მრავალფეროვანია და მიტოვებულიქალის პრობლემის გარდა სხვა საკითხებსაც ეხება, მაგალითად, დედებსა და შვილებსშორის ურთიერთობებს.

შეიძლება ითქვას, რომ რუბრიკას „თქვენთვის ქალბატონებო" არანაირისაინფორმაციო ან საგანმანათლებლო ღირებულება არ გააჩნია. ის მხოლოდ დამხოლოდ სტერეოტიპების გაძლიერებას უწყობს ხელს. მაგალითად, გაზეთის 23აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია სტატია - „ბავშვობის საიდუმლო და„მოღალატე" დედის წერილი", სადაც მოთხრობილია დედასა და შვილს შორისდაძაბული ურთიერთობის ისტორია. ეს სტატია, სათაურიდან დაწყებული მასშიგადმოცემული ამბით დასრულებული, სტერეოტიპული აზროვნების ნიმუშია:ამყარებს სტერეოტიპს, რომ ბავშვის აღზრდა მხოლოდ დედის საქმეა დაშესაბამისად, ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ პრობლემაში დედაა დამნაშავე,რადგან მამას უფრო დიდი მისია აკისრია - მან უნდა იმუშაოს."(გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში, 2012 წ. გვ. 1)

გაზეთ „კვირის პალიტრას“ 2019 წლამდე ჰქონდა ეს მუდმი რუბრიკა სახელწოდებით „თქვენთვის ქალბატონებო“, სადაც აგრძელებდა ბეჭდვას უსახური და არავითარი ღირებულების მქონე მასალებს.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისა და UNDP, 2017 წელს ჩატარებული კვლევის „გენდერული თანასწორობა არჩევნების სატელევიზიო გაშუქებაში“-ს მიხედვით,„მედიაშისტერეოტიპებისადაგენდერულიდისკრიმინაციისშინაარსისშემცველიმოსაზრებებისგავრცელებისმთავარიწყაროთავადჟურნალისტები/მედიისწარმომადგენლები (35%) არიან, რომელსაცმოსდევსსაზოგადოებისწევრები, სასულიეროპირები, პოლიტიკოსებიდასხვა. ამასთან, იმავეკვლევისმიხედვით, სტერეოტიპებისადაგენდერულინიშნითდისკრიმინაციისტირაჟირებაბეჭდურმედიაშიუფრომეტადხდება, ვიდრეტელევიზიაშიანონლაინმედიაში. (ფემინისტიაქტორებისგაშუქებაქართულმედიაშიდამათიმედიასთანურთიერთობისგამოცდილება - თბილისი, 2018 წ. გვ. 8)

ბეჭდურ მედიას სტერეოტიპული გაშუქების გარდა, ანალიტიკურად გაშუქების პრობლემაც უდგას. 2011 წელს გენდერული ძალადობის თემატიკაზე ჩატარებული მედიის მონიტორინგის მიხედვით, პრესაში არ გვხვდება ანალიტიკური მასალები ქალტა საკითხებზე.

მინდა აღვნიშნო რომ, ჩავატარე მცირერიცხოვან (50 კაციან) ჯგუფში გამოკითხვა საზოგადოების აზრის დასადგენად, თუ „რამდენად ადეკვატურად აშუქებენ გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“, „რეზონანსი“ და „კვირის პალიტრა“ ქალთა უფლებებს?“.

გამოკითხვისას დადგინდა, რომ 86,4%-მა არიცის ამ კითხვაზე პასუხი, 9,1%-ის აზრი დადებითია, ხოლო დანარჩენი უარყოფითად ფიქრობს.



დასკვნა

ქალთა მიმართ ძალადობა, გამოვლენილი ყველა ფორმით, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევაა. ეს ეხება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრებ ქალებს - ასაკის, სოციალური ფენის, რასისა და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.

ნაშრომში ანალიზის შედეგად შესწავლილია 2018-1019 წ.წ.-ში ქალთა უფლებებისა და მათი დარღვევების ასახვა გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“, „რეზონანსი“ და „კვირის პალიტრა“.

მასალის შესწავლის შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა:

გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „რეზონანსი“ ხშირად ბეჭდავდნენ ისეთ მასალებს, რომლებშიც ასახული იყო ქალთა უფლებების დარღვევების ფაქტები: ქალთა მიმართ ძალადობა, გაუპატიურება და სიცოცხლის ხელყოფაც კი, სადაც ქალები

მსხვერპლებად გვევლინებოდნენ, რაც ამყარებდა სტერეოტიპს ქალების, როგორც უსუსური არსებების შესახებ, ხოლო გაზეთი „კვირის პალიტრა“ არც ისე დიდ ყურადღებას უთმობდა ქალთა საკითხებისწარმოჩენას, რასაც მოწმობს მის მიერ 2018-2019 წ. წ.-ში დაბეჭდილი მასალების რაოდენობა, თუმცა გაზეთში ვრცელი სახით აისახა ოთხი გახმაურებული მკვლელობა, რამაც შეძრა მთელი საქართველო (ანა ნაცვლიშვილის, თამარ გამრეკელაშვილის, სმიტების ოჯახისა და ნინიკო ბერიაშვილისმკვლელობები).

სამაუწყებლო მედიას გააჩნია „მაუწყებელთაქცევისკოდექსი“, რომლითაც განსაზღვრულია როგორ უნდა მოხდეს გენდერული საკითხების ასახვა მედიაში, თუმცა ბეჭდურ მედიას არ გააჩნია ეს ნორმები, რაც იწვევს ამ საკითხის სხვადასხვა დარღვევით გაშუქებას. მაგალითად,გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“, „რეზონანსი“ და „კვირის პალიტრა“ საზოგადოებას აწოდებდა ისეთი მასალებს, რითაც ააშკარავებდა სტერეოტიპს, რომ ქალი დაუცველი და სუსტი არსებაა, რომელსაც არავინ ესარჩლება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაზეთებში მძიმე და უმსგავსო საქციელის წარმოჩენა,მომავალში მსგავსი ფაქტების აღმოფხვრის მიზნით იყო გამოქვეყნებული.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“, „რეზონანსი“ და „კვირის პალიტრა“ სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც ხდებოდა ქალთა უფლებებზე მსჯელობა, მათი დაუცველობის წარმოჩენა, საოჯახო კონფლიქტების დაუსრულებელი ისტორია.

ბიბლიოგრაფია:

1. ჭავჭავაძე 1988: ჭავჭავაძე, ი. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, თბილისი, 1961 გვ. 58;
2. ი.ჭავჭავაძე თხზულებანი, 1928 წ., ტ. VIII., „ქართული წიგნის“ გამოცემა. გვ. 278;
3. ქალთამიმართ ძალადობისეროვნული კვლევასაქართველოში 2017, გამომცემლობა გაეროს ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერებისთვის (UN Women)2018 წ. გვ. 12-13;
4. ქალთამიმართძალადობისადაოჯახში ძალადობისპრევენციისპროცესშიკერძო სექტორისადამედიისმონაწილეობის წახალისება: სტამბულისკონვენციისმე-17 მუხლი, ევროპისსაბჭო, 2016 წლისიანვარი,დაბეჭდილიაევროპისსაბჭოში გვ. 45;

5. ს. მესხი, „რა დაუკარგავს ქალებს და რას დაეძებენ ისინი“, ქართული პუბლიცისტიკა-ქრესტომათიაXIX საუკუნე, თსუ გამომცემლობა, 2007 წ.;
6. ფემინისტიაქტორებისგაშუქებაქართულმედიაშიდამათიმედიასთანურთიერთობისგამოცდილება - თბილისი, 2018 წ. გვ. 8;
7. გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში, 2012 წ. გვ. 1.http://mdfgeorgia.ge/uploads//Gender_report_II.pdf.
8. ი.ალიაშვილი, “ ქართულიმედიაახალიამბებისგაშუქებისასქალთაუფლებებსლახავს - მონიტორინგისშედეგები”,www.media.ge/content/qarthuli_media_akhali;
9. ძალადობა ქალებზე - http://dzaladoba111.blogspot.com/p/blog-page_3623.html;
10. https://ka.wikipedia.org/wiki/ქალთა_უფლებები;
11. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 9 იანვარი;
12. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 23 იანვარი;
13. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 27 იანვარი;
14. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 12 იანვარი;
15. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 13 იანვარი;
16. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 19 იანვარი;
17. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 2018 წ. 6 თებერვალი;
18. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 23 თებერვალი;
19. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 31 იანვარი;
20. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 15 თებერვალი;
21. გაზეთი „რეზონანსი“, 2018წ. 16 თებერვალი;
22. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 7 მარტი;
23. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 16 მარტი;
24. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 5 მარტი;
25. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 7 მარტი;
26. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 10 მარტი;
27. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 26 მარტი;
28. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 30 მარტი;

29. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 6 აპრილი;
30. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 11 აპრილი;
31. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 13 აპრილი;
32. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 13 აპრილი;
33. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 3 მაისი;
34. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 11 მაისი;
35. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 17 მაისი;
36. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 18 მაისი;
37. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 19 მაისი;
38. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 22 მაისი;
39. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 23 მაისი;
40. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, სანდროალექსიძე, 2018 წ. 24 მაისი;
41. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 24 მაისი;
42. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 21 მაისი;
43. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 23 მაისი;
44. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 28 ივნისი;
45. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 29 ივნისი;
46. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 28 მაისი;
47. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 4 ივნისი;
48. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 7 ივნისი;
49. გაზეთი „რეზონანსი“, ელზა პაპოსვილი, 2018 წ. 12 ივნისი;
50. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 15 სექტემბერი;
51. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 16 ნოემბერი;
52. გაზეთი „რეზონანსი“, ელზაპაპოშვილი, 2018 წ. 18 ივნისი;
53. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 18 ივნისი;
54. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 20 ივნისი;
55. გაზეთი „რეზონანსი“, ელპა პაპოშვილი, 2018 წ. 23 ივნისი;
56. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 25 ივნისი;

57. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 28 ივნისი;
58. გაზეთი „რეზონანსი“, თეონა დევიძე, 2018 წ. 30 ივნისი;
59. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 4 ივლისი;
60. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 11 ივლისი;
61. გაზეთი „რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018 წ. 23 ივლისი;
62. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 30 აგვისტო;
63. გაზეთი „რეზონანსი“ 2019 წ. 28 მარტი;
64. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 28 ივლისი;
65. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 13 აგვისტო;
66. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წელი, 14 აგვისტო;
67. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 29 აგვისტო;
68. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 16 აგვისტო;
69. გაზეთი „რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018 წ. 17 აგვისტო;
70. გაზეთი „რეზონანსი“,2018 წ. 28 აგვისტო;
71. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 29 აგვისტო;
72. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 30 აგვისტო;
73. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 30 აგვისტო;
74. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 1 სექტემბერი;
75. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 4 სექტემბერი;
76. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 13 სექტემბერი;
77. გაზეთი „რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018 წ. 14 სექტემბერი;
78. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 18 სექტემბერი;
79. გაზეთი „რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018 წ. 19 სექტემბერი;
80. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 20 სექტემბერი;
81. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 25 სექტემბერი;
82. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 27 სექტემბერი;
83. გაზეთი „რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018 წ. 2 ოქტომბერი;
84. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 10 ოქტომბერი;

85. გაზეთი „რეზონანსი“, გვანცა წულაია, 2018 წ. 13 ოქტომბერი;

86. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 13 ოქტომბერი;

87. გაზეთი „რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018 წ. 15 ოქტომბერი;

88. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 19 ოქტომბერი;

89. გაზეთი „რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018 წ. 20 ოქტომბერი;

90. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 20 ოქტომბერი;

91. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 22 ოქტომბერი;

92. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 23 ოქტომბერი;

93. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 26 ოქტომბერი;

94. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 31 ოქტომბერი;

95. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 1 ნოემბერი;

96. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 2018 წ. 2 ნოემბერი;

97. გაზეთი „რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018 წ. 2 ნოემბერი;

98. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 5 ნოემბერი;

99. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 6 ნოემბერი;

100. გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“, 2018 წ. 10 ნოემბერი;

101. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 9 ნოემბერი;

102. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 19 ნოემბერი;

103. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 26 ნოემბერი;

104. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 27 ნოემბერი;

105. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 3 დეკემბერი;

106. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 17 დეკემბერი;

107. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018 წ. 21 დეკემბერი;

108. გაზეთი „რეზონანსი“, 2018 წ. 24 დეკემბერი;

109. გაზეთი „რეზონანსი“, 2019 წ. 14 იანვარი;

110. გაზეთი „რეზონანსი“, 2019 წ. 24 იანვარი;

111. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2019 წ. 24 იანვარი;

112. გაზეთი „რეზონანსი“, 2019 წ. 28 იანვარი;

113. გაზეთი „რეზონანსი“, 2019 წ. 31 იანვარი;

114. გაზეთი „რეზონანსი“, 2019 წ. 5 თებერვალი;

115. გაზეთი „რეზონანსი“, 2019 წ. 6 თებერვალი;

116. გაზეთი „რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი“, 2019 წ. 12 თებერვალი;

117. გაზეთი „რეზონანსი“, 2019 წ. 21 თებერვალი;

118. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2019 წ. 22 თებერვალი;

119. გაზეთი „რეზონანსი“, 2019 წ. 22 თებერვალი;

120. გაზეთი „რეზონანსი“, 2019 წ. 26 თებერვალი;

121. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2019 წ. 26 თებერვალი;

122. გაზეთი „რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2019 წ. 27 თებერვალი;

123. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2019 წ. 2 მარტი;

124. გაზეთი „რეზონანსი“, 2019 წ. 27 მარტი;

125. გაზეთი „რეზონანსი“, 2019 წ. 29 მარტი;

126. გაზეთი „კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 2018 წ. 26 თებერვალი;

127. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2018 წ. 19-25 მარტი;

128. გაზეთი „კვირის პალიტრა“ თეა ხურცილავა, 2018 წ. 16-22 აპრილი;

129. გაზეთი „კვირის პალიტრა“ თეა ხურცილავა, 2018 წ. 18-24 ივნისი;

130. გაზეთი „კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 2018 წ. 26 თებერვალი;

131. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2018 წ. 19-25 მარტი;

132. გაზეთი „კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 2018 წ. 16-22 აპრილი;

133. გაზეთი „კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 2018 წ. 18-24 ივნისი;

134. გაზეთი „კვირის პალიტრა“, ლალი პაპასკირი, 2018 წ. 9-15 ივლისი;

135. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2018 წ. 20-26 აგვისტო;

136. გაზეთი „კვირის პალიტრა, თეა ხურცია, 2018 წ. 20-26 აგვისტო;

137. გაზეთი „კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 218 წ. 15-21 ოქტომბერი;

138. გაზეთი „კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 2018 წ. 29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი;

139. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2018 წ. 26 ნოემბერი - 2 დეკემბერი;

140. გაზეთი „კვირის პალიტრა“, ნანა ფიცხელაური, 2018 წ. 17-23 დეკემბერი;

141. გაზეთი „კვირის პალიტრა“, თეა ხურცილავა, 2018 წ. 24-30 დეკემბერი;

142. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2019 წ. 14-20 იანვარი.